საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს

ბ-ნ გიორგი ხანიშვილს

შპს ბარაქას (405285542), დირექტორი

ალექსანდრე ტალახაძის (01024044849)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით ბატონო გიორგი გვსურს მოგმართოთ თხოვნით, გაგვიწიოთ დახმარება წყლის სკრინინგში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფელი ბოდბის მიწების ნაწილზე, რომლებიც განთავსებულია ივრის ჭალების მიმდებარედ და უწყლობის გამო გაუდაბნოებულია.

ჩვენ წარმოვადგენთ, კომპანია შპს „ბარაქა"-ს, რომელიც უკვე 5 წელზე მეტია აქტიურად ცდილობს ამ ტერიტორიაზე განავითაროს სოფლის მეურნეობა, უკვე გაშენებული გვაქვს 15 ჰა ტერიტორიაზე ნუშისა და ზეთისხილის ბაღები, რომლის გაფართოებასაც ვგეგმავთ 100 ჰა-ზე. გარდა ბაღებისა კომპანია ცდილობს მოიყვანოს სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურებიც. თუმცა უწყლობის პრობლემების გამო საფრთხე ემუქრება, როგორც ჩვენს უკვე გაშენებულ ბაღებს ასევე ჩვენს გეგმებსაც.

ჩვენთვის მთავარი ამოცანაა ამ ტერიტორიების განვითარების შენარჩუნება, რომელსაც გაუდაბნოება ემუქრება. გვსურს არ დაიცალოს ქვემო ბოდბის სოფელი სადაც ეთნიკურად ქართველი მცხოვრები და მეურნე არც ისე ბევრია.

ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არ გავჩერდეთ და მაქსიმალურად სახელმწიფოსთან ერთად შევქმნათ და გავაჩინოთ სტაბილური სამუშაო ადგილები, ამჟამად ჩვენ კომპანიაში 4 ადამიანი გვყავს მუდმივად დასაქმებული, რომელთა ოდენობაც სეზონის მიხედვით იზრდება. ასევე, ვცდილობთ მაქსიმალურად ავტომატიზირებული გვქონდეს მეურნეობა და გაფართოვდეს ის ღირებულებათა ჯაჭვი რომელიც ჩვენმა კომპანიამ სხვადასხვა პროცებით უკვე ააწყო.

წყალი, როგორც ჩვენი კომპანიისათვის ასევე ამ ტერიტორიაზე დასაქმებული ყველა სხვა ფერმერისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იმედი გვაქვს გვერდში დაგვიდგებით და დაგვეხმარებით წყლის სკრინინგში და ჩვენი მიზნების განხორციელებაში.

ჩვენ ასევე აქტიურად ვმუშაობთ ეკო-ტურიზმის და სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით და გვაქვს უკვე შესაბამისი ინფრასტრუქტურა და საკმაოდ ამბიციური გეგმები, რომ ჩვენი მემკვიდრეობა რომელიც ფასდაუდებელია და ჩვენმა წინაპრებმა

№ 9779
19.04.2022

შეგვნინარჩუნეს მაქსიმალურად ხელუხლებლად მივიტანოთ თითოეულ ჩვენ სტუმართან და ის ღირებულებები ვაჩვენოთ რაც ჩვენს ქვეყანას ამდენი საუკუნის მანძილზე შემოუნახავს.

გიგზავნით დოკუმენტაციას შეიპ ფაილებს და ასევე დაცულ ტერიტორიებთან წარსადგენ წერილებს.

პატივისცემით,

ალექსანდრე ტალახაძე

შპს „ბარაქას" დირექტორი

საკონტაქტო პირი- ტელ:599092285

BARAKA

GEORGIA. "BARAKA" LLC 405285542